



ახალი ტანათლექს

2011 წელი, 24 - 30 ნოემბერი

ფასი 1 ლარი

№36 (550) გაბოღის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

აუღ ვიყავი, წუნელ კვკლებოდი,
ახლა მიგონებს ჯობათ ზოზია,
გლაქტიონში არის ღემონი
და ჩემში უფრო ანტელონია.

ყოველდღე ვაღებ ძვირფას ბარათებს,
ბაღში მივდივარ, ეს დღე ცივია.
გლაქტიონში მიწა ანათებს
და ჩემში უფრო ზეკის სხვიია.

შოზს ქარი კივის, ახლი მტკნია,
ახლა ღამდება, შედია სრული.
გლაქტიონში ღურჯი ფერია
და ჩემს ღემსდან შიხანს უფსკრული.

აუღ ვიყავი, წუნელ კვკლებოდი,
ახლა მიგონებს ჯობათ ზოზია,
გლაქტიონში არის ღემონი
და ჩემში უფრო ანტელონია...



ტერენტი გრანელი და ვალაკტიონი

სოფლის
სკოლა
თანაღმონით
გაღალახული
სიძნელეები



გვერდი 4

საგანმანათლებლო
ქარა
აოზიგიური
ცვლილებები
ქუთაისის
განათლების
სისტემაში
XIX საუკუნის
დასასრულსა და
XX საუკუნის
დასაწყისში

გვერდი 8

ყურადღება!

გამოვიდა „მსოფლიო ლიტერატურის
კლასიკოსების“ სერიის სამი ახალი ტომი:
ალექსანდრე პუშკინი – მოთხრობები
სტეფან ცვაიგი – „მოუთმენლოზა გულისა“
მარინ რიდი – „ქვარტარონი“



სასერტიფიკაციო
გამოცდები

განვითარებისა და სწავლის თეორიები

მოკლე ინფორმაცია იმ ავტორების
შესახებ, რომელთა ნააზრავის ცოდნას
მასწავლებლის პროფესიული
სტანდარტით არის განსაზღვრული

გვერდი 2

მეთოდია

მათემატიკის კვლავობათა დასახმარებლად

ჩატარებულმა სასერტიფიკაციო გამოცდებმა აჩვენა, რომ
ფიზიკის მასწავლებლებს განსაკუთრებით გაუჭირდათ
ამოცანების ამოხსნა. მათ მიერ მიღებული დაბალი
შეფასებები ძირითადად ამ მიზეზით იყო განპირობებული.
წინამდებარე რუბრიკაში შევეცდებით დავებმართო მათ
და მივაწოდოთ ტიპური საგანმანათლებლო ამოცანების ამოხსნა
მეთოდური მითითებებით. ამოცანები დალაგებულია
სერტიფიკაციის პროგრამის შესაბამისი თემატური გეგმის
მიხედვით.

გვერდი 5



სასარტიფიკაციო გამოცდები

ბანკოტარებისა და სწავლის თეორიები

მოკლე ინფორმაცია იმ ავტორების შესახებ, რომელთა ნააზრების სოციალური მასშტაბის პროფესიული სტანდარტით არის განსაზღვრული



ლორენს კოლბერტი (1927-1987)

ამერიკელი ფსიქოლოგი. იყო ჩიკაგოს და შემდეგ პარდის უნივერსიტეტების პროფესორი.

კოლბერტის მორალური თეორია ხსნის, როგორ ითვლებს ბავშვი საზოგადოებაში მიღებული ეთიკური ნორმებს, „კარგ“ და „ცუდ“, „სწორ“ და „არასწორ“ ღირებულებებს. ბავშვის ფსიქიკური განვითარების შესაბამისად, კოლბერტი გამოყოფს მორალური განვითარების 3 დონეს (სინაქონენციური, კონვენციური, პოსტკონვენციური) და თითოეულში კიდევ რამდენიმე საფეხურს.

I დონე - სინაქონენციური მორალი. ამ დონეზე ბავშვი „სწორი“ და „არასწორი“ ქცევებს შესხება მსჯელობის იმის მიხედვით, თუ რა შედეგი მოჰყვება მის ქმედებას - დასჯა, ნახალისება თუ დაჯილდოება. ამ დონეზე მყოფი ბავშვისთვის მორალი მის გარეთ არსებული რამ არის, რასაც უნდა დამორჩილდეს. განვითარების ამ დონეზე ბავშვი ფიქრობს, რომ სწორია ის, რასაც ავტორიტეტი ამბობს, რომ სწორია. ეს დონე კოლბერტმა სამ საფეხურად დაყო.

ნულიანი საფეხური: განვითარების ამ დონეზე ბავშვის შეხედულებები „სწორი“, „კარგი“ და „არასწორი“, „ცუდი“ ქცევის შესახებ განპირობებულია იმით, თუ რა ანიჭებს მას სიამოვნებას ან უსიამოვნებას. ამ საფეხურზე ბავშვს ჯერ კიდევ არა აქვს თავისი სურვილებისგან დამოუკიდებელი მოთხოვნებისა თუ ნებისების გაგების უნარი. მაგალითად, „მე მოკლავს ჭამა სიამოვნებს და მოვიტხოვ მას, რადაც არ უნდა დამიფედეს“.

პირველი საფეხური. მორჩილება და დასჯა. ამ საფეხურზე ბავშვი თვლის, რომ წესები ავტორიტეტებმა შექმნეს და მათ უნდა დამორჩილდეს, თუ დარღვევა - დაისჯება. მოქმედების შედეგი განაპირობებს მის „სისწორეს“. მაგ., „თუ მე

გატეხე ფინჯანი, დედამ დაინახა და დავისაჯე - ეს ცუდი საქციელია. თუ არავინ მხედავს, როგორ გატეხე და არ დავისაჯე, მაშინ ეს არ არის ცუდი საქციელი“.

მე-2 საფეხური. ინსტრუმენტული ფარდობითობა. განვითარების ამ საფეხურზე სწორი და კარგი ქცევა არის ის, რაც ამაყობს სწორი ინდივიდის მოთხოვნილებებს და ზოგჯერ გარემომყოფების მოთხოვნილებებსაც. ამ საფეხურზე ბავშვი აცნობიერებს, რომ შეიძლება არსებობდეს დანებებული წესისგან განსხვავებული შეხედულებაც. ადამიანებს შეიძლება განსხვავებული შეხედულებები ჰქონდეთ და ისინი ინდივიდუალური ინტერესიდან გამომდინარე იქცეოდნენ. ეს უკვე ურთიერთგაზარების ელემენტებია, მაგრამ მისი ინტერპრეტაცია ყოველთვის ფიზიკური, პრაგმატული ხასიათისაა. მაგალითად, „თუ შენ მომცემ კანფეტს, მეც მოგცემ“.

II დონე - კონვენციური მორალი. ამ დონეზე მყოფი ინდივიდისთვის მისი ოჯახის, საზოგადოების მოლოდინების გამართლება მნიშვნელოვანი ღირებულებაა. ინდივიდი საკუთარ თავს აღიქვამს ამ საზოგადოების თუ ჯგუფის ნაწილად. ინდივიდი ემორჩილება და იღებს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნორმებს და მოლოდინებს, ის არა თუ იცავს, არამედ მხარს უჭერს და განამტკიცებს არსებულ ნორმებს. ეს დონე, თავის მხრივ, ორი საფეხურისგან შედგება.

1. (მე-3) საფეხური. ინტერპერსონალური თანხმობა: „კარგი ბიჭი“ - კარგი გოგო“. განვითარების ამ საფეხურზე ბავშვი ფიქრობს, რომ კარგი ქცევა არის ის, რაც სხვებს ანიჭებს სიამოვნებას, გულსხმობის სივსის დახმარებას და იმსახურებს საზოგადოების მოლოდინებს. მაგ., „ჩემს მეგობარს ვთხოვე სათამაშო, რადგან კარგი ბიჭი ვარ და ვაყვარებ მეგობარს“. ასეთი შეხედულება კარგი ინტერპერსონალური ურთიერთობების განვითარებისა და შენარჩუნების საშუალებაა.

2. (მე-4) საფეხური. კანონი და წესრიგი. ამ საფეხურზე ინდივიდი თვლის, რომ კარგი და სწორი ქცევა ავტორიტეტის პატივისცემა, მოლოდინის შესრულება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაა.

III დონე - პოსტ-კონვენციური მორალი. ამ დონეზე პიროვნება ცდილობს, ავტორიტეტული ღირებულებებისგან დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს საკუთარი ღირებულებათა სისტემა და პრინციპები. ამ შემთხვევაში, ეთიკური პრინციპები პიროვნების გახუფიერების ნაწილია და არ აღიქმება არც თავის მოხვედრად და არც ავტორიტეტის პატივისცემის ნიშნად. ის პიროვნების თავისუფალი არჩევანია. კოლბერტი ამ დონეზე ორ საფეხურს გამოყოფს:

1. (მე-5) საფეხური. სოციალური კონტრაქტი. ამ საფეხურზე სწორი და მისაღები მოქმედება, ქცევა განისაზღვრება ინდივიდის იმ უფლებებისა და სტანდარტების მიხედვით, რომლებიც მიღებულია საზოგადოებაში კრიტიკული შეფასებისა და შეთანხმების შედეგად. ამ საფეხურზე ინდივიდი აცნობ

ბიერებს, რომ პიროვნული ღირებულებები და შეხედულებები ფარდობითია, საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფს შეიძლება განსხვავებული ეთიკური შეხედულებები ჰქონდეს; ამიტომ საჭიროა საზოგადოებრივი თანხმობა იმის თაობაზე, თუ რა არის სწორი და მისაღები, რაც კონკრეტულ საზოგადოებაში უფლებებისა და მოვალეობების ჭრილში აღიწერება. ეს საფეხური უფრო საზოგადოებრივ პრიციპებსა და ორიენტირებულს - ეთიკურს (ანუ სწორს) ის ქცევებს, რომლებიც საზოგადოების წევრების უფლებებს არ არღვევს.

2. (მე-6) საფეხური. უნივერსალური ეთიკური ორიენტაცია. პიროვნება საკუთარ სინდისთან თანხმობით ირჩევს იმ უნივერსალურ ეთიკურ პრინციპებს, რომლებიც თავისუფალი პრაგმატულობისა და ფორმალური კანონიერებისაგან. ეს პრინციპები ეხება ზოგად დადამართლებლობას, თანასწორობასა და პიროვნების პატივისცემას. ადამიანის მორალური განვითარების დონე დგინდება იმის მიხედვით, თუ როგორ აფასებს იგი ამა თუ იმ მოვლენას მორალური თვალსაზრისით.

თეორიაში უკეთესი გასარკვევად გთავაზობთ კოლბერტის მაგალითს: „ექიმის ვარაუდით, სიმსივნის იმეათი ფორმით დაავადებული ქალბატონის გადარჩენა შეუძლოა ახალსაქმადიციონ პრეპარატს. ეს მედიკამენტი ერთმა ფარმაცევტმა შექმნა საკუთარ აფთიაქში. გარდა იმისა, რომ პრეპარატის მომზადება საკმაოდ ძვირი ჯდება, ფარმაცევტმა გადაწყვიტა, კიდევ უფრო გაეზარდა საკუთარი გამოგონების საფასური და ნაშლის თვითღირებულებაზე 10-ჯერ მეტი თანხა მოითხოვა. ავადმყოფი ქალის მულებზე მხოლოდ თანხის ნახევარის შეგროვება შეუძლოა და ფარმაცევტს სთხოვა, ან ფასი შეემცირებინა, ან თანხის ნაწილი მომავალში გადახდის საშუალება მიეცა. ფარმაცევტმა უარი უთხრა. გამოყოფილ მედიკამენტში მყოფმა მულებზე ღამით აფთიაქის კარი გატეხა და ცოლისათვის ნაშალი მოიპარა. იმის მიხედვით, თუ როგორ და რა არგუმენტაციით აფასებს ინდივიდი ამგვარ მორალურ საქციელს, შევსებთა ვიშვალეთ მისი მორალური განვითარების დონეზე“.

მორალური განვითარების დონე	საფეხური	შეფასება/შეხედულება
პრეკონვენციური დონე	I საფეხური. მორჩილება და დასჯაზე ორიენტაცია	„ქრდობა არ შეიძლება. შეიძლება ციხეში მიხვდეს“ (დასჯა).
	II საფეხური. ინსტრუმენტული ფარდობითობის ორიენტაცია	„მან შეიძლება მოიპაროს წამალი, რომელიც გადაარჩენს ავადმყოფ ცოლს. რაცა ციხეშია განსჯა, ისე ციხეშია ექვად იქნება“ (სტანდარტული მოქმედება).
კონვენციური დონე	III საფეხური. ინტერპერსონალური უთანხმოებაზე „კარგი ბიჭი, კარგი გოგო“	„საზოგადოება გაუგებს მას, თუ ავადმყოფი ცოლის გადაარჩენად წამალს მოიპარავს და ნაშალიც ამ უმსხვერპლს, თუ ასე არ მოიქცევა“ (საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა).
	IV საფეხური. კანონი და წესრიგი	„ქმის მოვალეობა ცოლის გადარჩენა, თუნდაც ამასთვის ქრდობა გახდეს საჭირო“ (კანონი ღირსება, მოვალეობა, დანაშაულის გრძობა განსაზღვრავს ქმის).
პოსტკონვენციური დონე	V საფეხური. ზნობა	„ქმის უფლება აქვს მიიღოს წამალი, თუნდაც მისი სავსების გადახდის საშუალება არ ჰქონდეს, თუ აუთიკური ანს ვერ აცნობიერებს, სახელმწიფო უნდა დაარეგულიროს მსგავსი სიტუაციები“ (დემოკრატიული კანონი, პიროვნების უფლებების დაცვის გარანტიები).
	VI საფეხური. უნივერსალური ეთიკური პრინციპები	„მოხუცდავ იმისა, რომ ქრდობა ისედაც კანონია, არასწორი იქნება, თუ ქმის არ მოიპარავს წამალს, სიცოცხლე უფრო ღირებულია, ვიდრე აუთიკურის შენსაველი“ (სწინაშიკი სოციალურად სისაზღვრებელი უნდა იყოს და არა წინადა და დაურღვეველი, სხვისი ინდივიდუალურია).

გამომცემის პროფესიული ცენტრის კლავის დეპარტამენტი

ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნოდარ სურგულაძემ სამინისტროს „სასკოლო პარტნიორობის“ პროექტის ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთისა და თბილისის ექვსი საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად, ეთნოგრაფიული მუზეუმი მონახულა.

ლონისძიების ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის სტუდენტებმა მოსწავლეებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეები და ტრადიციები გააცნეს.

სამინისტროს „სასკოლო პარტნიორობის“ პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა უკვე დათვალეს სხვადასხვა მუზეუმი, მონახულეს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მცხეთა და სხვა ღონისძიებები ადგილები.

პროგრამაში 61-მდე ქართული და არაქართულენოვანი სკოლა ჩართული. მოსწავლეებმა ერთობლივად ღონისძიებები დაგეგმეს და, სამინისტროს დაფინანსებით, ახორციელდნენ. ასეთი სახის აქტივობებით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს სხვადასხვა რეგიონებიდან საშუალება აქვთ გარკვეული პერიოდით ქართველ თანატოლებთან ერთად გაატარონ და სხვადასხვა შემეცნებით-კულტურულ ღონისძიებებში მიიღონ მონაწილეობა.

„სასკოლო პარტნიორობის“ პროგრამა ორიენტირებულია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვან ინტეგრაციაზე და მას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ ფარგლებში ახორციელებს.



სიასლა!

„ახალი მანათლვის“ ჩელაქსია სასწავლო დაწესებულებებს სთავაზობს თემატური ჰელპერებს, ჩაწოდებულია და ქართულ მწიგნობარს უძრავებს

თემატური კლასიკები
დაწყებითი კლასებისთვის
ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ძველი ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პრეზენტები
9. რიცხვები
10. ხელ-გონიერება
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. უბიძგო ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საძარტველი

ერთი
ცალის
ფასი
2.5 ლარი

თემატური კლასიკები
მეტადი კლასებისთვის
ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიის წარმოდგენა
2. გარეული ფრინველები საძარტველში
3. გარეული ცხოველები საძარტველში
4. მწიგნობარი
5. ძველი ხალხური საკრებები
6. მშენებარეობები საძარტველში
7. საძარტველში მშენებარეობები
8. ადამიანის აგებულება
9. რელიგიური და დინამიკური
10. გუნდის სისტემა
11. ნიღბები - სიტყვების წყარო
12. საძარტველში სიმღერა დინამიკური
13. კვილი რეტი
14. მსოფლიო დროები
15. ზღვის დინამიკური
16. თემატური ელემენტების პერიოდული სისტემა
17. საშინაო წარმოდგენა
18. ძველი მსოფლიო მშენებარეობა და საბრძოლო ტექნიკა
19. მსოფლიო მშენებარეობა

ერთი
ცალის
ფასი
3 ლარი

ქართული ლიტერატურის კანონებისთვის მწერალთა კორტრეტები (34X47 სმ)

- | | | | |
|--------------------------------|--------------------------------------|------------------------------------|----------------------|
| 1. პეტრე მთავრული - დამთავრება | 13. პოლონეზი | 23. დავით გუგუშვილი | 35. ვახტანგ VI |
| 2. მიხეილ ჯავახიშვილი | 14. ტიციან ტაბიძე | 24. გიორგი | 36. გიორგი მტკვრელი |
| 3. გიორგი ლეონიძე | 15. სულხან-საბა
ორბელიანი | 25. გურამ ლეონიძე | 37. ილია ჭავჭავაძე |
| 4. ტყეშელაშვილი | 16. ნიკოლოზ ბარათაშვილი - დამთავრება | 26. რეზა ივანიშვილი | 38. გრიგოლ ორბელიანი |
| 5. ნიკოლოზ მთავრული | 17. იოსებ ბერიშვილი | 27. ალექსანდრე მთავრული | |
| 6. გრიგოლ რეზაიძე | 18. პოლიქარპე კაკაბაძე | 28. ალექსანდრე მთავრული | |
| 7. ირაკლი აბაშიძე | 19. გურამ რეზაიშვილი | 29. იაკოვ გომეზაშვილი - დამთავრება | |
| 8. ლეო ანთონი - დამთავრება | 20. იაკოვ ხუციანი | 30. დავით კლდიაშვილი | |
| 9. ნოდარ დუმბაძე | 21. იოსებ საბანისი | 31. აკაკი წერეთელი | |
| 10. მიხეილ გომეზაშვილი | 22. კონსტანტინე
გამსახურდია | 32. რუსთაველი | |
| 11. აკაკი ბაქრაძე | | 33. ვაჟა-ფშაველა | |
| 12. ვასილ ბარბაქაძე | | 34. თეიმურაზ I | |

ერთი
ცალის
ფასი
4 ლარი

ხელოვნების კანონებისთვის ჩაწოდებულია

- | | | |
|---|---|---|
| 1. ცისფერი პალატები - დედა | 6. ავტორტრეტები -
რეზანდო ჰარმონი ვან რინი | 12. საპირფარეო გასაღები,
გან-შეხების კუთხურობა - შოკ სიორა |
| 2. იმპრესიონიზმის სურათები
10 დასახელება | 7. მინიშნები - ვილსონი | |
| 3. პორტრეტები ფიცი -
შაკლუნი დავიდი | 8. დელფინი სიპილა -
მიქაელაშვილი | |
| 4. მწიგნობარ თანამდებობები -
დომენიკო გირლანდანი | 9. მატრისი გალი - კლოდ მონე | |
| 5. ადელ გლეზ-გაუპრინი პორტრეტები -
გუსტავ კლიმტი | 10. უაღრესი მინიშნები დაბრუნება -
რეზანდო | |
| | 11. საბანო - რენუარი | |

ერთი
ცალის
ფასი
6.5 ლარი

მათემატიკა

მათემატიკის კვლევითი დასახმარებელი გეომეტრიული გარდაქმნები

გეომეტრიის მთელი რიგი საკითხების შესწავლისას (თეორემების დამტკიცება, ამოცანების ამოხსნა აგება და გამოთვლებზე, გეომეტრიული ფიგურების გამოკვლევა) სასკოლო გეომეტრიაში ესარგებლობთ სხვადასხვა გარდაქმნით (დრეპული სიმეტრია, ცენტრული სიმეტრია, პარალელური გადატანა და სხვ.), ამიტომ უნებურივით, თავდაპირველად განსაზღვრით რა არის გარდაქმნა, ხოლო შემდეგ შევისწავლოთ ისინი. გეომეტრიის დაყოფა მეტრიკული, ევკლიდური, პროექციული და აფინური გეომეტრებად სწორედ ამ გარდაქმნებზეა დამოკიდებული.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, როგორ შეიძლება არსებობდეს მრავალი, თანაც „უქმნარიტი“ გეომეტრია, საჭიროა თავდაპირველად გავარკვიოთ, რა არის ევკლიდეს გეომეტრია.

ვითი, რომ გეომეტრია შეისწავლის ფიგურების თვისებებს სიმეტრეა და სიმეტრეა. მაგრამ ისმება კითხვა: გეომეტრული თვალსაზრისით რომელი ორი ფიგურა ერთი და იგივე? ამ კითხვაზე არსებობს სხვადასხვა პასუხი და აქედან გამომდინარე არსებობს სხვადასხვა გეომეტრია.

ევკლიდეს გეომეტრია შეისწავლის ფიგურის იმ თვისებებს, რომლებიც უცვლელია ნებისმიერი მოძრაობის მიმართ, ე.ი. ისეთი გარდაქმნების მიმართ, რომლებიც ნებისმიერ ორ წერტილს შორის მანძილს უცვლელად ტოვებს. მაგრამ, თუ ამ განსაზღვრით ვისარგებლებთ, მივიღებთ, რომ გეომეტრიაში მთავარია წერტილებს შორის მანძილი (მონაკვეთის სიგრძე), რაც არანაირია, რადგან ევკლიდეს გეომეტრიის მრავალ თეორემაში მონაკვეთის სიგრძე საერთოდ არ ფიგურირებს.

მაგალითად, განვიხილოთ ასეთი თეორემა: მართკუთხა სამკუთხედში 30°-იანი კუთხის პირდაპირ მდებარე კათეტი ჰიპოტენუსის ნახევარია. აქ მთავარია არა მონაკვეთის სიგრძეები,

არამედ მათი ფარდობა. მაშასადამე, ევკლიდეს გეომეტრიის განსაზღვრას საფუძვლად უნდა დავუდოთ არა მხოლოდ მოძრაობა, არამედ გარდაქმნა, რომელიც არ ცვლის მონაკვეთთა სიგრძეების ფარდობას, ანუ მსგავსების გარდაქმნა. ე.ი. ევკლიდეს გეომეტრია აგრეთვე შეისწავლის ფიგურის იმ თვისებებს, რომლებიც ინვარიანტულია მსგავსების გარდაქმნების მიმართ. სწორედ ამიტომაც მართებული ის, რომ მასწავლებელი დაფავე შესრულებულ ნახაზს მოსწავლეს „ხუსტად“ ახაზინებს რვეულში, რაც პროპორციული შემცირების გარეშე შეუძლებელია.

ამრიგად, ევკლიდეს გეომეტრია სინამდვილეში არის ორი სხვადასხვა „გეომეტრიის“ ნაერთი – „მოძრაობის გეომეტრიისა“ და „მსგავსების გეომეტრიის“.

თუ გარდაქმნათა სიმრავლედ განვიხილავთ ყველა პარალელური გადატანის სიმრავლეს, მივიღებთ გეომეტრიას, რომელშიც მონაკვეთები „ტოლი“ იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ჩვეულებრივი აზრით ტოლია და პარალელური.

ამ გეომეტრიაში ორი სამკუთხედი „ტოლია“, თუ „ტოლი“ აქვთ შესაბამისად ორი გვერდი, ხოლო თუ ოთხკუთხედი ორი მოპირდაპირე გვერდი „ტოლი“ აქვთ, მაშინ დიაგონალები გადაკვეთის წერტილით შუაზე იყოფიან, რასაც ევკლიდურ გეომეტრიაში ადგილი არა აქვს. იგივე რჩება ზოგიერთი თეორემა, მაგალითად ეთორემა მედიანების გადაკვეთის შესახებ.

მაშასადამე, გეომეტრია დამოკიდებულია გარდაქმნათა სიმრავლეზე. რადგან არსებობს სხვადასხვა გარდაქმნათა სიმრავლე, არსებობს სხვადასხვა გეომეტრია, მათავს ერთი-ერთია ევკლიდეს გეომეტრია, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის ორი სხვადასხვა „გეომეტრიის“ ნაერთი – „მოძრაობის გეომეტრიისა“ და „მსგავსების გეომეტრიის“. ჩვენ შევხებით სწორედ იმ საკითხებს, რომლებიც ეხება მოძრაობისა და მსგავსების გარდაქმნებს.

სიმრავლეთა ასახვა

ვთქვათ, x და y არაგარიელი სიმრავლეებია. თუ x სიმრავლის ყოველ x ელემენტს შეესაბამება y სიმრავლის ერთადერთი y ელემენტი, ამბობენ, რომ მოცემულია x სიმრავლის ასახვა y სიმრავლეში ამ მოცემულია ფუნქცია. x ∈ X ელემენტს ეწოდება არგუმენტი, ხოლო y ∈ Y ელემენტს ელემენტის მნიშვნელობა. ფუნქციას აღნიშნავენ ერთი ასეთი, მაგალითად, f-ით და წერენ: y=f(x). ცხადია, f(x) ∈ Y.

გეომეტრიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ფუნქცია, რომელშიც როგორც x, ასევე y სიმრავლის (სივრცის) წერტილებია. ამ შემთხვევაში, ნაცვლად ცნებისა „ფუნქცია“, სარგებლობენ ცნებით „ასახვა“ და წერენ – f: X → Y.

ვთქვათ, მოცემულია რაიმე f: X → Y ასახვა. y=f(x) ელემენტს ეწოდება x ∈ X ელემენტის სახე, ხოლო x-ს y-ის წინასახე.

ამასთანავე, თუ f(X) = Y არის ში-ასახვა, ხოლო თუ f(x) = y, მაშინ ასახვა არის – ზე.



ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ისეთ ასახვებს, რომელთა განსაზღვრისა და მნიშვნელობათა არეები სიმრავლის წერტილთა სიმრავლეებია.

მოცივანთი ასეთი ასახვის მაგალითები.



მაგალითი 1. ვთქვათ, M წრეწირია, AB მისი დიამეტრი. წრეწირის ყოველ M წრეტილს შევუსაბამოთ მისი ორთოგონალური გეგმილი AB წრფეზე. მივიღებთ f: M → AB ში-ასახვას.

მაგალითი 2. ვთქვათ, M წრეწირია, AB მისი დიამეტრი. წრეწირის ყოველ M წრეტილს შევუსაბამოთ მისი ორთოგონალური გეგმილი AB დიამეტრზე. მივიღებთ f: M → AB ზე-ასახვას.

მაგალითი 3. ვთქვათ, ABC სამკუთხედი, X=AB ∩ BC, ხოლო Y=AC. X სიმრავლის ყოველ M წრეტილს შევუსაბამოთ მისი ორთოგონალური გეგმილი AC წრფეზე. მივიღებთ f: X → Y ში-ასახვას.



მაგალითი 4. განვიხილოთ Ω სიმრავლის f წრფე. Ω სიმრავლის ყოველ M წრეტილს შევუსაბამოთ მისი ორთოგონალური გეგმილი a წრფეზე, მივიღებთ f: Ω → a ზე-ასახვას.



მაგალითი 5. განვიხილოთ ΔABC და მასზე შემოხაზული M წრეწირი. წრეწირის ყოველ M წრეტილს შევუსაბამოთ OM

სხვის სამკუთხედთან გადაკვეთის M' წრეტილი. მივიღებთ f: M → ΔABC ზე-ასახვას, სადაც O წრეწირის ცენტრია.

ასახვას, რომელიც ორ განსხვავებულ არგუმენტს განსხვავებულ მნიშვნელობებს შეუსაბამებს, იწვევია ეწოდება.


ასახვას ეწოდება ზე-ასახვა ანუ სიურექცია თუ f(X)=Y.

ასახვას ეწოდება ურთიერთგალსახა, ანუ ბიექციური, თუ ერთდროულად იწვევიაა და სიურექციაც.

განსაზღვრება 1. არაგარიელი X სიმრავლის ბიექციას თავისთავზე ეწოდება ამ სიმრავლის გარდაქმნა.

განვიხილოთ გარდაქმნის მაგალითები:

მაგალითი 6. ვთქვათ, M წრეწირია ორიენტირებული სიმრავლე, ხოლო M' ორიენტირებული კუთხეა -π < φ ≤ π. განვიხილოთ f: M → M' ასახვა, რომელიც წრეწირის ყოველ M წრეტილს შევუსაბამებს ამავე წრეწირის ისეთ M' წრეტილს, რომლისთვისაც <MOM' = φ. f არის M წრეწირის გარდაქმნა.



მაგალითი 7. განვიხილოთ Ω სიმრავლის ნებისმიერ O წრეტილი და f: Ω → Ω ასახვა, რომელიც ყოველ M წრეტილს ასახავს ისეთ M' წრეტილზე, რომლისთვისაც OM=OM' და M, O, M' წრეტილები მდებარეობენ ერთ წრფეზე. f არის Ω სიმრავლის გარდაქმნა მას ეწოდება ცენტრული სიმეტრია. O წრეტილს ეწოდება სიმეტრიის ცენტრი.

ვთქვათ, f: X → Y ბიექციაა, მაშინ შესაძლებელია განსაზღვროთ მე-2 ასახვა f⁻¹: Y → X, შემდეგი წესით: f⁻¹(y)=x, თუ y=f(x). ამგვარად განსაზღვრულ f⁻¹ ასახვას ეწოდება f ასახვის შებრუნებული ასახვა.

სიმრავლის გარდაქმნას, რომელიც ამ სიმრავლის ყოველ ელემენტს თავისთავზე ასახავს, ეწოდება იდეური გარდაქმნა. იდეური გარდაქმნა აღვნიშნოთ e ასეთი e(x)=x.

განვიხილოთ f არაგარიელი სიმრავლე და ამ სიმრავლეზე განსაზღვრული f გარდაქმნების სიმრავლე F=f. შემოვიტანოთ ამ სიმრავლეში ბინარული ოპერაცია, წოდებული გამრავლებად ჩაწერის მულტიპლიკაციური ფორმა.

ვთქვათ, f და g ∈ F, f(x)=y, g(y)=z. f და g გარდაქმნების ნამრავლი აღინიშნება g.f-ით და განსაზღვრება, როგორც ამ გარდაქმნების თანამიმდევრობით ჩატარების შედეგი: g.f(x)=g(f(x))=g(y)=z.

თეორემა. არაგარიელი X სიმრავლის ყველა გარდაქმნის F სიმრავლე ჯგუფია მასში განსაზღვრული გამრავლების მიმართ.

- F სიმრავლე ჯგუფია, თუ სრულდება 1). g.f არის F-ის ელემენტი; 2). h(gf)=(gh)f - ასოციაციურობა; 3). ერთეულოვანი ელემენტის არსებობა (იდეური გარდაქმნა); 4). შებრუნებული ელემენტის არსებობა f f⁻¹=f⁻¹ f=e.

გეომეტრია შეისწავლის ფიგურის იმ თვისებებს, რომლებიც უცვლელი რჩებიან გარდაქმნათა F ჯგუფის ნებისმიერი f გარდაქმნის მიმართ. (ვ. კლიანი).

არსებობს სხვადასხვა გარდაქმნათა ჯგუფი, რის გამოც არსებობს სხვადასხვა გეომეტრია. მათავს მნიშვნელოვანია: მეტრიკული, ევკლიდური, აფინური და პროექციული გეომეტრები.

მოძრაობა

განსაზღვრება. სიმრავლის გარდაქმნას, რომელიც ნებისმიერ ორ წერტილს შორის მანძილს ინახავს, მოძრაობა ეწოდება.

მაშასადამე, თუ f – სიმრავლის მოძრაობაა, A, B-სიმრავლის ნებისმიერი წერტილებია და f(A)=A', f(B)=B', მაშინ A'B' = AB


მოძრაობის კერძო შემთხვევები

1. იდეური გარდაქმნა. იდეური გარდაქმნა მოძრაობაა.

2. დრეპული სიმეტრია. ორ A და A' წრეტილს L წრფის მიმართ სიმეტრიული ეწოდება, თუ ეს წრფე AA' მონაკვეთის მართობულია და მის შუაწერტილზე გადის. ჩავთვალოთ, რომ წრფეზე მდებარე ყოველი წერტილი ამ წრფის მიმართ სიმეტრიულია.


სიმეტრია L ღერძის მიმართ (ანუ დრეპული სიმეტრია) ეწოდება სიმრავლის გარდაქმნას, რომელიც სიმრავლის ყოველ წერტილს ასახავს L წრფის მიმართ სიმეტრიულ წერტილზე. L ღერძს სიმეტრიის ღერძი ეწოდება.

ღერძული სიმეტრია მოძრაობაა.




3. პარალელური გადატანა. სიმრავლის პარალელური გადატანა განსაზღვრული დალაგებული (A, B) წრფით ეწოდება სიმრავლის გარდაქმნას, რომელიც სიმრავლის ნებისმიერ M წრეტილს ასახავს ისეთ N წრეტილზე, რომ MN ⊥ AB, MN=AB.

პარალელური გადატანა მოძრაობაა.



4. სრიალი სიმეტრია. ვთქვათ სიმრავლეზე მოცემულია L ღერძი და P ვექტორი, რომელიც პარალელურია L ღერძის. სიმრავლის ყოველ წერტილს შევუსაბამოთ ისეთი წერტილი, რომელიც მიიღება L ღერძის მიმართ სიმეტრიისა და P ვექტორით პარალელური გადატანის ნამრავლის შედეგად. ასეთ გარდაქმნას ეწოდება სრიალი სიმეტრია.

სრიალი სიმეტრია მოძრაობაა.



5. მობრუნება. ვთქვათ, სიმრავლეზე მოცემულია O წრეტილი და ორიენტირებული α კუთხე. სიმრავლის ყოველ A წრეტილს შევუსაბამოთ ისეთი A' წრეტილი, რომლისთვისაც OA=OA', <AOA' = α. O წრეტილს შევუსაბამოთ თავის თავი. ასეთ გარდაქმნას ეწოდება სიმრავლის მობრუნება O წრეტილის ირვლივ ორიენტირებული α კუთხით. O წრეტილს ეწოდება მობრუნების ცენტრი, ხოლო α კუთხეს – მობრუნების კუთხე. ცენტრული სიმეტრია არის მობრუნება π კუთხით. სიმრავლის მობრუნება მოძრაობაა.

ჰაჰა-ფაჰაჰა - 150

ჰაჰა-ფაჰაჰა - 150

ჰაჰა-ფაჰაჰა - 150

2011 წელი იუნესკომ ვაჟა-ფშაველას საიუბილეო წლად გამოაცხადა. კოსმოპოლიტი მწერალი ეროვნულობის ჩარჩოებს გასცდა და მსოფლიო კულტურის საკუთრებად იქცა. დღეს, როცა ბევრს საუბრობენ ინტერკულტურულ დიალოგზე, ქართული მწერლობის სწავლებაზე თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ფასეულობათა კონტექსტში, ცხადია, ვაჟას შემოქმედება უფრო და უფრო აქტუალური ხდება. მისი პოემები „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“ ხომ აღიარებულია, როგორც ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობის ნიმუში. მწერალი თვალს ადევნებდა კაცობრიობის სულიერი განვითარების რთულ პროცესს და ცდილობდა, პასუხი მოეძებნა ეპოქის მტკივნეულ კითხვებზე. მთავარი კანკალი უბრალო კაცმა კარგად უწყობდა, რომ მოქალაქეობრივი აზროვნების ჩამოყალიბების საფუძველი მოყვასის სიყვარულია. აკი, კდლის პირით ვითარება: „გიყვარდეთ, კაცონ ერთმანეთი!“

უკიდურესად უჭირდა, მაგრამ სხვას ესმარებოდა, არავის ეუბოდა და ჩანჯა სიმართლით აფლერებდა: „დავუკრავ მჭვარტილიან ჩანჯურს, ათასჯერ, განა ერთხელა?“

მწერლის შემოქმედებას გამსჭვალავს სამყაროს მატერიალური ალქმა, „უთვალავ ფერთა“ დანახვისა და წარმოსახვის უნარი, ხალხურობა და რეალიზმი, „მინისა“ და „ცის“, რეალისტური და რომანტიკული მთლიანობა.

ვაჟას უყვარს მოაზროვნე, ჩაფიქრებული კაცი: „დაძინან ფიქრი



ამშვიდებს, ფიქრი უცოდველია მანამ, სანამ რამეს იტყვი. ენა „მევირალა“, ფიქრი კი - ჩუმი“. მთავარია, ფიქრი მოსწავლეებსაც ვასწავლოთ, ის სულიერი თვალთა ავუხილოთ, რომელიც ვაჟას ხატოვანი აზროვნების გასაგებადაა აუცილებელი. ეს კი, უპირველესად, ჩვენი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების ვალია.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის №1 საჯარო სკოლა აქტიურად გამოემზაურა ვაჟა-ფშაველას 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეს. სკოლა ინტერესით ჩაება განათლების სამინისტროს ინიციატივით გამოცხადებულ კონკურსში. კვირეული მომზადდა ქართული ენისა და ლიტერატურის კა-

თედრის ხელმძღვანელობით. მასში მონაწილეობისათვის ინტეგრირებული პროგრამები წარმოადგინეს ესთეტიკის, სახვითი ხელოვნებისა და მათემატიკის კათედრებმა. სკოლაში მოეწყო ვაჟას კუთხე, მწერლის თხზულებებისა და პუბლიცისტური ნაშრომების გამოფენა, ასევე ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტოგამოფენა; მომზადდა ინტერვიუები, კონკურსები, დისკუსიები, ინტეგრირებული გაკვეთილები. კვირეული აქტიურად ჩაებნენ სკოლის სამივე საფეხურის მოსწავლეები.

კვირის მანძილზე ერთმანეთს ინიციატივით დასინჯეს შემოქმედებითი აქტივობები: თავისუფალი წერა - „მე მიყვარს ვაჟა“; კა-

ლიგრაფისტა და ილუსტრატორთა კონკურსი, რომელსაც უნდა გამოეყენებინა ვაჟა-ფშაველას ერთი ლექსის მიხედვით შექმნილი საუკეთესო ხელნაწერები და ილუსტრაციები; მრგვალი მაგიდა - ინტერვიუ ვაჟა-ფშაველას მკვლევარ, „საბას“ ნომინანტ მწერალ ტარიელ დათიაშვილთან; შეხვედრა ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენელთან, ვაჟას შემოქმედების დამოუკიდებელ მკვლევართან, ბატონ მერაბ ცვიციანიძესთან; რუდუნებით მომზადდა ვაჟას ნაწარმოებების საყოველთაო კითხვა, რომელიც ორიგინალურად წარმოადგინეს სკოლის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და მშობლებმა. ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და თურქულ

ენებზე აქედრდა „მთის წყარო“, „დამსეტყვე, ცაო“, „მთას ვიყავ“, „სიტყვა ეული“, „არწივი“, „ჩემი ედრება“, „კაი ყმა“, „მთანი მადლინი“, „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა“ და სხვ.

ამაღლებული განწყობა შექმნა ლიტერატურულმა კომპოზიციამ „სატრფილო“. მოსწავლეთა მიერ წარმოადგენილი, შემოქმედებითი მუხტით დატვირთულმა მცირე სპექტაკლმა მასწავლებლთა დიდი მონონება დამსახურა.

კვირეულის ბოლო აკორდი გახლდათ სკოლის მოსწავლეთა დასწრება ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლ „მინდიას“ პრემიერაზე. მოსწავლეებმა მათთან საინტერესო კითხვებზე ინტერვიუ ჩაწერეს თეატრის დირექტორთან, ქალბატონ რიზა დგალიშვილთან და შემოქმედებითი ჯგუფის წევრებთან.

საიუბილეო კვირეული კონკურსში გამარჯვებულია და აქტიურ მონაწილეთა დაჯილდოებით დასრულდა. ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი კვირეულის მასალები აისახა სკოლის ელექტრონულ ჟურნალში „მეფეთუბანი“, შეიქმნა ჟურნალის ბუჭვითი ვერსია.

კვირეულმა მიზანს მიაღწია - მოსწავლეებმა და ვაჟათი დაინტერესებულმა ადამიანებმა უკეთ გაიცნეს გენიოსი შემოქმედი. ეზიარნენ მწერლის ცხოვრებისეულ სიბრძნეს, მის ზნეობრივ ღირებულებებს, შეაბიჯეს იმ სამყაროში, რომელსაც ვაჟას სულიერება ჰქვია.



რუსუდან კვალაშვილი

„გზა ჰაჰას უნდა დავუთმოთ“

2011 წლის 14 ივლისს ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წელი შეუსრულდა. საქართველოში „მთის არწივი“ ნოდებელი ბუნების მგოსნის საპატივსაცემოდ 2011 წელი ვაჟას წლად გამოცხადდა.

ამ ღირსშესანიშნავ იუბილესთან დაკავშირებით, ახალციხის №6 საჯარო სკოლის III-კლასელებმა (კლასის ხელმძღვანელები: ცილა ასპანიძე, ლია კაველიძე, მარიამ მიქაბერიძე, ზოია ზაზაშვილი) წარმოადგინეს ღონისძიება თემაზე - „გზა ვაჟას უნდა დაუთმოთ“.

სასაბოგნო მუსიკის ფონზე, სცენაზე ვაჟას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი სლიალები გამოჩნდა. ვაჟას პოეზიასავით ფრთაგამაღლილი არწივი დარბაზს ამყავდა გადმოჰყურებდა. სცენის მშვენება იყო ხშირი ნივთი და შვლის ნუკრი, ფშაჟური ტაბლა ყანნი და თიხის სასმისები.

ფშაჟურ ფორმაში გამოწყობილი პატარები ერთმანეთს ტოლს არ



უღებდნენ ვაჟას პოეზიის წარმოჩენაში. დამსწრე საზოგადოებაში მზარულება გამოიწვია პატარების მი-

ერ გაცოცხლებულმა ეპიზოდებმა „ჩხიკვა ქორწილიდან“. სასაბოგნო მოსამხენი იყო ქართული სიმ-

ღერები (მუსიკის პედაგოგი - ნინო ნარმაიანი). ესწრებოდნენ:

სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ჟენია მერაბიშვილი**, რესურსცენტრის უფროსი, ქალბატონი **ნინო დემეტრაძე**, პრეზიდენტის რწმუნებული სამცხე-ჯავახეთში, ბატონი **ლევან გულაშვილი**, ქალაქის გამგებელი, ბატონი **გელა დემეტრაძე**, ერევნის საქველმოქმედო ფონდის **phiunik** ხელმძღვანელი **ლევან სარქისიანი**, სომხეთის დელეგაცია, სომხეთის და ნინომინდის გამგებელი და სხვა ოფიციალური პირები, რომლებიც ჩვენს მხარეში მგობრული ენით ბრძანდებოდნენ. მათ სკოლას საჟურად გადასცეს ტრენაჟორები და საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები.

ენობრივი ბარიერის მიუხედავად, სტუმრებმა პატარების მიერ გაცოცხლებული ვაჟას ნაწარმოებების გმირებით აღფრთოვანება გერ დაძლეს.

მარიამ კაჭაბაძევილი
დაწვებითი კლასების სასწავლო ნაწილის კათედრის გამგე

„ხარს ვბევირ, ნაილაღარს“

„მე რომ არ მიყვარდეს და არ მებრალბოდეს ვინმე, თავს არ ვიცოცხლებდი და, ვგონებ, არც სასიცოცხლო ვიქნებოდი.“ საუკუნეზე მეტი გავიდა, რაც საქართველოში ეს უღამაზესი ფრაზა გაისმა. ფრაზა, რომელმაც კაცთმოყვარეობისაკენ მონიჭება იმ სიმაღლეზე აიყვანა, რომ მუხჯ და უგრძობი კლდესაც კი ეს სიტყვები ათქმევინა: „გიყვარდით კაცნო ერთმანეთი“. გადის საუკუნე და ეს სიტყვები აქტუალობას დღესაც არ კარგავენ, თითქოს გაუმინ თქვა დღმა მგოსანმა – „გიყვარდით“.

დილია ვაჟას დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე, ამიტომაცაა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გვერდ არ აუარა 150-წლის იუბილე და დაბადებიდან 150 წლისთავს და სკოლებს ვაჟას კვირეულის კონკურსი შესთავაზა. აქტიურად გამოხატა ადრინდელ კონკურსის ხაშურის მუნიციპალიტეტის ივ. ხრიკულის სახ. სოფელ ხცისის საჯარო სკოლა. ქართული ენისა და ლიტერატურის, ისეთივე ახელთების, საზოგადოებრივი მეცნიერებისა და საბუნებისმეტყველო კათედრების ერთობლივი მუშაობის შედეგად საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა. მოსწავლეთა კრეატიულობა გამოვლინდა თემების კონკურსში, რომელიც



კვირეულის პირველ დღეს გაიმართა. საკონკურსოდ შეირჩა თემები – „ცუდას რად უნდა მტერიანი“, კარგია მუღამ მტერიანი“ და „გიყვარდით კაცნო ერთმანეთი“. გამოვლინდა გამარჯვებული მოსწავლეები: მეთათესაველი **დიანა მიქელაშვილი** და მეთერთმეტეკლასელი **ნათია ხაჩიძე** გაიმართა ნახატების

კონკურსი, სადაც გაიმარჯვა VI კლასის მოსწავლემ **თამარ ზიტყაშვილი**. მისი ნახატები ახლაც ამჟამინებს სკოლის კედლებს.

საინტერესო იყო მოუხიკო „ჩიკიტა ქორნილი“, რომელიც კვირეულის მეორე დღეს დადგა ესთეტიკა-ხელოვნების შემოქმედის მანაველბეგის მიერ. არაწვეულებრივად შესარულს როლები მოსწავლეებმა, ვასაქარი იყო მათი სამსახიობო ნიჭი და ოსტატობა. ძალიან სერიოზულად ჩაიარა იმპროვიზებული სასამართლო პროცესმა, რომელიც ვაჟა-ფშაველას „შულის ნუჯის ნაბიბობის მიხედვით“ გაიმართა ხაშურის რაიონის სასამართლოში. სცენარის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეს ნათია ხაჩიძეს ეკუთვნის. პროცესში მეთათესაველი მონაწილეობდნენ. მთავარი ისაა, რომ აღნიშნული ღონისძიებით გამოვლენაურად სასამართლო რეფორმის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებისადმი დაკავშირებით. ასე რომ, იმ დღეს ტელევიზიით გავრცელებულ ინფორმაციაში, თითქოს სასამართლო პროცესი, ნაფიც მსაჯულების თანდასწრებით, თბილისში გაიმართა, სრული პასუხისმგებლობით შემოიღო შეფიქრანი ცვლილება – ეს პროცესი ჩვენთან, 27 ოქტომბერს გაიმართა,

ამას კი, უნდა ვუმადლოდეთ ჩვენი სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრას, რომლის აქტიური წევრია **რევაზ ქვიციანიძე**. დიდი შთაბეჭდილებით სავსე იყო ეს დღე – კვირეულის მესამე დღე.

ვაჟას შემოქმედებას სათანადოდ დაფასება რომ სჭირდება, ეს კარგად ესმით მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს. ამიტომ იხილი აქტიურად ჩაერთვნენ ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამოს მომზადებაში, რომელიც კვირეულის IV დღეს გაიმართა. მკურნალები ცრემლმორეული შემოქმედება ამ მრავლისმთქმელ საღამოს. ღონისძიება დასასრულს უახლოვდებოდა, მაგრამ წასვლის სურვილი არავის ჰქონდა, პირობა მიეცით ყველას, რომ მსგავს საღამოებს ხშირად გავმართავდით. როცა გადაწყვიტეთ, კვირეულის მეხუთე დღეს აქცია მოგვეჩუროს სოფელში, მონიჭებით – „შეიბრალებული ცოცხალი ბუნება“, არ გვეკონიჭებოდა გარეცხილებულ ინფორმაციას, რომელიც გამოუმჯობესებოდა ამ აქციას. ჩვენს ვაჟა-ფშაველას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სოფელი გარეთ გამოვიდა და შემოვიერთდა. თანასოფლელებმა მადლობა გადაუხადეს ბავშვებს და იმედი გამოთქვეს, რომ მსგავსი ტიპის აქ-

ციები მომავალში უფრო ფართო მასშტაბით მოეწყობა.

დიდებული მგოსანი, ბუნების უბადლო ქომაგი და დამცველი – ასე წარმოვადგინეთ ვაჟა. შემდეგ კი, მიზნად დავისახეთ, საზოგადოებისთვის გვეჩვენებინა, როგორ უპასუხებდა პოეტი XXI საუკუნის ჟურნალისტი მირ დანსულ მეტიყვებს. შეეძქნით ვაჟას ტიპაჟი, რომელიც ჟურნალისტი კითხვებს დამაჯერებლად პასუხობდა. ეკოლოგთა კლუბმა შეადგინა შეგონება, რომელიც „ვაჟას“ გავხიზმავდებოდით:

1. ვაი, მას, ვისაც ბუნება არ ედარდებ!
2. არ გახდებ ბუნების მტერი, მოეფერე და მოუსათუე მას!
3. ჭამი განადგურებისა ჩვენს პლანეტას მაშინ დაუდგება, როცა არავინ იზრუნებს ბუნების დაცვაზე!
4. არ გაჩნებ ტყე, ის ხომ სიცოცხლის წყარო!
5. ფრინველებს ნუ განყვეტთ უთავებო ნადირობით, მათ გარეშე ტყესა და ველს განადგურება უნდა!

6. შიშისმილსგან გადაარჩინეთ ზამთარში მიიდან ბარს შემოხიზნული ნადირ-ფრინველი!

7. არ გაანადგუროთ ბუნების მშვენიერება – შველი და ირემი!

8. ველის ნადირ-ფრინველს ხანძარიცავე განადგურება უნდა, ნუ გადააგებთ ანთებულ ასანთს!

9. ეცადეთ, თქვენი და თქვენი ახლობლების სახელზე დარგოთ ხე-მცენარეები, ამით საშვილიშვილო კეთილ საქმეს გააკეთებ!

10. ლაბაზი და მიმზღველია საქარველოს ბუნება, ნურავის შეაჩინებთ მას, არავის დაუთმოთ თქვენი მიწის ერთი გოგოც კი!

11. არასოდეს დაგავიწყდეთ შეგონება: „ტყე შეუნახე შეიღებსა, მამა ხარ, შენი ვლია“!

ვაიმრებთ, აღნიშნული შეგონება ინტერნეტით გავაზრცელოთ, რათა ყველამ ნაიკითხოს და ცხოვრების მიზნად გაიხადოს.

კვირეულის შეჯამებისას დაგვეგმეთ ესკურსია ჩარგალიში, გაზაფხულზე.

თამარ ზიტყაშვილი

ივ. ხრიკულის სახ. სოფელ ხცისის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი



„იას ვუთხარი, ტერფასა...“



მოგხსენებთ, 2011-2012 სასწავლო წელი ვაჟა-ფშაველას წლიადა გამოცხადებული UNESCO-ს მიერ. სწორედ ამიტომ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითმა ჯგუფმა შეიმუშავა პროექტი, რომელიც რამდენიმე ღონისძიებას აერთიანებს: მხატვრული კითხვა ორ ასაკობრივ ჯგუფში; ლიტერატურულ-თემბატური კონფერენცია; ნახატების გამოფენა; საბავშუო თეატრალური კოლექტივების დათვალიერება – „ვაჟასეულ მოტივებზე“.

2011 წლის 18-19 ნოემბერს გაიმართა ამ პროექტით გათვალისწინებული პირველი ღონისძიება – „ეკითხულობთ ვაჟას შემოქმედებას“. ღონისძიებას ხელმძღვანელობდა ჟიური შემდეგი შემადგენლობით: **ნარგის ნადირაშვილი** – მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის კოორდინატორი, **ოლღა შენაშვილი** – მხატვრული კითხვის წრის ხელმძღვანელი,

პაბატა ქვლიციძე და **ბადრი დრიცი** – საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობები. კონკურსში მონაწილეობდნენ: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. პატარძელის, უდაბნოს, გიორგიმინდისა და ლაბალოს საჯარო სკოლების მოსწავლეები. ღონისძიების დაწყების მოლოდინში ერთმანეთს ეცნობოდნენ და ემოციებს უზიარებდნენ ბავშვები და პედაგოგები, ერთად მოიხილეს და იცეკვეს პატარძელულმა და ლაბალოელმა მოსწავლეებმა.

დაიწყო კონკურსი. ერთმანეთს ენაცვლებოდა ლექსი და პროზა. მეტად შთაბეჭდავი იყო უდაბნოს საჯარო სკოლის მოსწავლის **გიგა გიგაურის** გამოხატული ეროვნულ სამოსელში. მან ჟიურის დიდი სიმაძიითც დამიხიზნა და **გრან-პრის** მფლობელიც გახდა. ადგილები კი, უმცროს ასაკობრივ ჯგუფში ასე განაწილდა: I ადგილი დაიკავს პატარძელის საჯარო სკოლის მოსწავლემ **გიორგი გი-**

უნაშვილი და ლაბალოს საჯარო სკოლის მოსწავლემ **ელვარ მირზაგაძე**; II ადგილი დაიკავა, ასევე, პატარძელის საჯარო სკოლის მოსწავლემ **თამარ უნაფიშვილი**; თანაბარი ქულები დააგორეს და, ჟიურის გადაწყვეტილებით, III ადგილები დაიკავს პატარძელის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა – **ნინო ცხვარიანი** და **მარიამ ქვლიციძე**.

უფროს ასაკში, მონაწილეებს ორი დავალება ჰქონდათ: ლექსი და პროზაული ნაწარმი. I ადგილი დაიკავა გიორგიმინდის საჯარო სკოლის მოსწავლემ **ნათია თათრშიანი**; II ადგილი – პატარძელის საჯარო სკოლის მოსწავლემ **მარიამ მარნაშვილი**, აქაც **მესამე** ადგილი ორ მონაწილეზე განა-

წილდა – უდაბნოს საჯარო სკოლის მოსწავლეები – **ნინო ხაჭვანი** და **რამაზ ტყადაშვილი**.

სულ მალე კი, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი ლიტერატურულ-თემბატურ კონფერენციას უმსაპინძლებს და კვლავ ვაჟას სამყაროში ვიმოგზაურებთ აქტიურებითან ერთად.

სასწავლო წლის მეორე ნახევარში კი, 27 მარტს, თეატრის საერთაშორისო დღეს, ბავშვთა ნახატების გამოფენა და საბავშუო თეატრების წარმოდგენები გაიმართება.

თამარ ჰაბადარი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი





საგანმანათლებლო ქსარი

ცნობებს გვანდის პროფ. გ. თავი...

საკულტურო-სამრეწველო სკოლების აღორძინება 1884 წლიდან იწყება...

სა და სულიერ საზრდოს აწვდიდა ახალგაზრდებს...

1879 წელს, კავკასიის სასწავლო ოლქში, მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა...

1900 წლიდან შეიცვალა სკოლების განლაგების სურათიც...

საგანმანათლებლო სკოლა და სასწავლო მეთოდი...

საშუალო სკოლებში რევოლუციის განხორციელების შემდეგ...

მონინავე მასწავლებლები საშუალო სკოლის გარდაქმნის შესახებ...

მეორე ხელისუფლებამ აღიარა, რომ მისწავლითაა ზნეობრივ-ინტელექტუალური განვითარება...

აშგვარად, საშუალო სკოლა, განსაკუთრებით 1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ...

1912 წლის 10 მაისს მიიღეს ახალი კანონი ვაჟთა გიმნაზიებისა და...

რეალური სასწავლებლების შტატების შესახებ...

ქართული სოციალ-დემოკრატიის მმართველობის პერიოდში...

1918 წელს მთავრობამ სასკოლო რეფორმის კომისია შექმნა...

უკიდურეს ეკონომიკურ გაჭირვებას განიცდიდნენ შედაგეები...

წითელი უფასობა ეკონომიკურად აჩანავდა...

1919 წელს პირველდანწყობით სახალხო სკოლის დროებითი სასწავლო გეგმები...

ვერობაში გავრცელებული "თავისუფალი აღზრდას" მეთოდი...

მთხედვად ნაკლოვანებებისა, დანეციბით და უმალეს-დანეციბით სკოლების ამ პროგრამებმა...

ამგვარად, მთხედვად დიდი დაბრკოლებებისა, ქუთაისის სასწავლო მეთოდებს მიმართ...

ლინ გაბუნია

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ახალი ისტორიისა და განათლების განყოფილების კოორდინატორი...

გურამ გაბუნია

სრული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, უნივერსიტეტთან არსებული ქუთაისის და მისი რეგიონის ისტორიისა და კულტურის მემკვიდრული საბუნების განყოფილებაში მუშაობს...

ინფორმაცია

თბილისის №51 საჯარო სკოლა კვლავ გალაკტიონ ტაბიძის სახელობისაა...



გაიხსნა მოქანდაკე ბიძინა ავალოშვილის მიერ შესრულებული...

აქსანინა, რომ №51 საჯარო სკოლის ახლად გახსნილი გალაკტიონის კაბინეტში...

ქართველი მწერლების ნაკვალავი

2011 წლის 12 ნოემბერს, თბილისის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმის ინიციატივითა და თბილისის მერიის ხელშეწყობით, დიდგორის რაიონის სოფელ შინდისში, სოფლის სახლში, ჩატარდა საგანმანათლებლო კონფერენცია, სახელწოდებით – „დიდი ქართველი მოაზროვნეები“. ეს იყო დიდი პროექტის – „ქართველი მწერლების ნაკვალავი“ ერთი მცირე ნაწილი, რომელიც, ამჯერად, თბილისის შემოერთებული რაიონების (წყნეთი, შინდისი, ნაკისი) საჯარო სკოლებს მოსწავლეებზე იყო გათვალისწინებული.



მონაწილეებმა საკონფერენციოდ მოამზადეს თემები: „საქართველოს სამეფო ხელისუფლებისათვის ბრძოლა დავით IV აღმაშენებლის მემკვიდრეთა შორის“ – თემურ კენკეაშვილი (კოჯორის საჯარო სკოლა), „ადვით აღმაშენებელი – პატივი ადამიანის ღირსებას“ – ქეთევან უბილავა (წყნეთის საჯარო სკოლა), „დემიტრი ყიფიანი“ – ზურაბ დორეული (ნაკისის საჯარო სკოლა), „ტაო-კლარჯეთი, გრიგოლ ხანძთელი“ – ლალი ოთაშვილი (ტაბახმელის საჯარო სკოლა), „ეკეთიმო თაყაიშვილი – საქართველოს მეჭურჭლეულებზე“ – ოლიკო ქავჯია (ოქრყანის საჯარო სკოლა), „სა-

ქართველოს მნათობი – დედოფალი ქეთევანი“ – ქეთევან მეზურნიშვილი (შინდისის საჯარო სკოლა).

ლონისძიებში მონაწილეობდნენ თბილისის მერიის მუზეუმები – ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის და მერაბ კოსტავას. პროექტის ფარგლებში, ამ დღისთვის, მათ მოძრავი გამოფენები მოამზადეს.

გამარჯვებული მოსწავლეები მერიის დიპლომებით დაჯილდოვდნენ. ღონისძიების რაიონულ ორგა-

ნიზატორებს სამაგისტროვო გადაცემის ნიშნები – „ქართული პროზა“.

ახლო მომავალში, მსგავსი კონფერენციის ჩატარება იგეგმება ზაპისის, ძეგლი ვეძისისა და ფონიჭაღის საჯარო სკოლების ქართველი და არაქართველი მოსწავლეებისათვის.

პროექტი არ არის ერთჯერადი ხასიათის, მოიცავს თბილისის ყველა რაიონს და, სამომავლოდ, მთელ საქართველოს, რაზეც თავად პროექტის სახელწოდება მივითითებს.

– „ქართველი მწერლების ნაკვალავი“.

ძალზე დიდა პროექტის განხორციელების მიზნულობა – უბრუნელებს ყოველსა, ხდება საგანმანათლებლო სისტემისა და კულტურის სფეროს ინტეგრაცია. გარდა ამისა, პროექტი შექმნილით ხასიათისა – მოსწავლეები ბუნებრივად ერთობიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, იძენენ მათთვის საჭირო უნარ-ჩვევებს, იგებენ ბევრ სიახლეს და უზიარებენ თანატოლებს.

მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს კულტურის დანერგვას, ამ შემთხვევაში – მუზეუმების, საქმიანობის პოპულარიზებას, იქ დაცული კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენასა და ხელმძღვანელობას, რაც ეროვნული კულტურის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ნანა ელიზაბაშვილი
ნიკოლოზ ბარათაშვილის მუზეუმის დირექტორი

სტუმრად მასწავლებლის სახლში



მაღალი ხარისხის განათლების მიღება რომ პროფესიონალი მასწავლებლის გარეშე წარმოუდგენელია, კარგად აქვს გაცნობიერებული ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოდის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივს. აღნიშნულის დადასტურება ის, რომ სკოლის 26 პედაგოგიდან 6 სერტიფიცირებულია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის შემოთავაზება, სერტიფიცირებული პედაგოგების მასწავლე-

ბელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩაბმის შესახებ, მოულოდნელი სიახლე აღმოჩნდა, ამიტომ 4 ნოემბერს, სკოლების ვიზიტის პროგრამით, ვესტუმრეთ ახლახან გახსნილ მასწავლებლის სახლს თბილისში. აქ გატარებული რამდენიმე საათი ძალზე ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩვენი პედაგოგებისათვის. მეგზურობა მასწავლებელთა სახლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ,

ქალბატონმა თონა კუბატაძემ გაცვინა. ბავშვები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ფიზიკის, ქიმიკა-ბიოლოგიის ლაბორატორიებით.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის შესახებ ცენტრის კოორდინატორი, ბატონი დავით კვიციანი გვესაუბრა და შესაბამისი მასალებიც გადაგვცა. ზოგადი პროფესიული უნარების კონსულტატმა, სოფიო ლბუჯანიძემ ამომწურავი ინფორმაცია მოგვანოვა ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე – „მასწავლებლის, კლასის დამრიგებლის, კათედრის ხელმძღვანელის პორტფოლიო“, „როგორ ვიმუშაოთ სილაბუსების შედგენაზე“.

მასწავლებელთა სახლს საინტერესო კონცეფცია აქვს შემუშავებული იმ მრავალფეროვანი ღონისძიებების სახით, რომელსაც 24-საათიან რეჟიმში ვეთავაზობს პედაგოგებს. თუმცა, ცოტა რთულია შორი რეგიონებიდან სრულყოფილად ჩაერთო ყველა იმ ტრენინგ-პროგრამაში, კონფერენციასა და სემინარში, რომელსაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა გულისხმობს. კარგი იქნება, თუ მასწავლებელთა სახლი რეგიონების სკოლების ბიბლიოთეკებს სრულყოფილად მოამარაგებს სარეკომენდაციო მეთოდური ლიტერატურით.

ნონა ხაველაშვილი
სერტიფიცირებული პედაგოგი

„Programm Euroopa Noored“ – Youth in Action „Programme“

სსიპ გორის №7 საჯარო სკოლა და ესტონეთის რესპუბლიკის ქალაქ კოლგას სკოლას შორის განხორციელდა პროექტი „Youth in Action“.

პროექტის მიზანი: ორი ქვეყნის ახალგაზრდების გამოცდილების გაზიარება მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის დარგში, ერთმანეთთან თანამშრომლობით კულტურათაშორის ცოდნის გაღრმავება, სკოლის ინტერნეტრადიოსა და ბლოგის შექმნა ქართულ, ესტონურ და ინგლისურ ენებზე – programmeuropanoored.blogspot.com

პროექტის ფარგლებში, კოლგას სკოლის დირექტორის, ბატონ ტომას გულდმის მოწვევით, 2011 წლის 10 ოქტომბერს, ერთი კვირით, ესტონეთში გაემგზავრნენ გორის №7 საჯარო სკოლის წარმომადგენლები: სკოლის დირექტორი ნოდარ იარღანაშვილი; სკოლის ადმინისტრატორი ნინო ნონიკაშვილი და მოსწავლეთა თვითმმართველობის 8 წარმომადგენელი. მათ დაათვალიერეს ესტონეთის ღირსშესანიშნაობები, მოენცი შეხვედრა ტალინის უნივერსიტეტის პროფესორ, ბატონ მარტ ლამერთან; ესტონეთის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებ-



თან. განსაკუთრებულად აღსანიშნავია ესტონეთის პრეზიდენტის სპიკერთან, ქალბატონ ვერერგასთან შეხვედრა, ასევე, ესტონეთის რესპუბლიკის საქართველოს ელჩთან, ბატონ რუსლან აბაშიძესთან და ელჩის უფროს მრჩეველთან მარიამ რაქიაშვილთან.

პროექტი მონაწილეობამ ხელი შეუწყო ახალგაზრდებში ინიციატივების გაჩენასა და შემოქმედებითობას, ორი ქვეყნის კულტურათაშორის ცოდნის გაღრმავებას, გამოცდილებათა გაზიარებას, ესტონეთის განათლების სისტემის გაცნობას. ესტონელი მეგობრები კი, გაცნენ ინფორმაციას საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ.

პროექტი არ დათმავებულა, მომავალი წლის ზაფხულში გორის №7 საჯარო სკოლა ელის დელეგაციის ესტონეთის რესპუბლიკის ქალაქ კოლგას სკოლიდან. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის – საქართველოსა და ესტონეთის ახალგაზრდებს შორის ურთიერთობის გაღრმავებასა და განხორციელებას.

ნინო ნონიკაშვილი
გორის №7 საჯარო სკოლის ადმინისტრატორი

ქართველი მწერლები

- ❖ ვაშა-ფშაველა, I-IV ტომი, - 11 ლარი
- ❖ ნოდარ დუმბაძე, I-V ტომი, - 13 ლარი
- ❖ ალექსანდრე ყაზვბეგი, I-II ტომი, - 11 ლარი
- ❖ მისივე ჯავახიშვილი, I-VII ტომი - 11 ლარი
- ❖ ლევან გომთა, I-II ტომი - 16 ლარი
- ❖ ელიზბარ ყიფიანი, I-II ტომი - 15 ლარი
- ❖ კონსტანტინე გამსახურდია, I, II, III, VI, VII ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
- ❖ რევაზ ინანიშვილი, I-V ტომი - 12 ლარი
- ❖ ვახტანგ ჭავჭავაძე, I-IV ტომი - 12 ლარი
- ❖ გრიგოლ ავაშიანი, I-II ტომი - 12 ლარი
- ❖ ოტია იოსელიანი, I-IX ტომი - 12 ლარი
- ❖ თამაზ შილაძე, I-VI ტომი - 10 ლარი
- ❖ გოდერძი წიგნაძე, I-IV ტომი - 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

გაომთავრება „ნიკოპენა“ და გზავთ „ახალი განათლების“ სპეციალური ჰეიფი

ხელმოწერა საჭურაღებოდ!

თუ თქვენ წიგნის მოყვარული ბრძანდებით, შეგიძლიათ ისარგებლოთ „დიოგენეს“ შემოთავაზებით და გააფორმოთ ხელმოწერა.

გამოიწერეთ წიგნები და მიიღეთ სპეციალური ფასად



საყმაწვილო ენციკლოპედია „მსოფლიოს რელიგიები“

~~29.90~~


17 ლარი



საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“

~~29.90~~

17 ლარი



საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“

~~29.90~~

10 ლარი

პირველად საბარათველოში მოსწავლეებისა და პედაგოგების სამაგიდო წიგნი თამარ ბეროზაშვილი „ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

~~14.90~~

10 ლარი



„ახალი განათლება“ წიგნის თანად

მიმდინარეობს ხელმოწერა

ბადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონზე:

295 80 23; 8790 95 80 23; 577 13 22 83.

ხელმოწერის თანხა ბადმორიცხვით რეკვიზიტებზე:

მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735

ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22, ა/აGE93LB0113314052305000

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია ~~45~~ 35 ლარი
საბავშვო ცნობილი ენციკლოპედია ~~30~~ 26 ლარი
ხელმოწერის ილუსტრირებული ისტორია ~~40~~ 30 ლარი

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“ ერთი ტომი - 12 ლარი



- გუსტავ ფლობერი - მადამ გოგარი
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო
- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა - ქალთა გაღწევა
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - მონტესუმა ასული
- სტენდალი - ნითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულიწვევის მოგზაურობა
- ერის მარია რემარკი - სამი მეგობარი
- შოდერლო დე ლაკლო - სასიყვარულო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები **ახალი**
- შტეფან ცვაიგი - მოუთმელოზა გულისა **ახალი**
- მაინ რიდი - კვარტარონი **ახალი**

„რა არის რა“ ერთი ტომი - 11 ლარი



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტაბულაშვილის №3 ტელ.: 295 80 23, 8790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რედაქციის რეკვიზიტები: საბარათველო ბანკი ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735, ა/ა GE 86 BG 000000 123631000 GEL

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაციის ხელმოწერისთვის: 76096
გზავთ რეგისტრირებული დიფუზის რაიონის სასამართლო მიერ.

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.